

# • Visegrad Fund

## საინფორმაციო ბიულეტენი ჩეხეთის რესპუბლიკაში ელექტროენერჯის ბაზრის რეგულირების შესახებ

ავტორი: ონდრეი კოპეცკი

ხელმძღვანელი: დოქტორი მილან შასნი

კარლის უნივერსიტეტი, გარემოს დაცვის ცენტრი

პროექტი:

ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება  
კომუნალური მომსახურების რეგულირების შესახებ

თარიღი: ივლისი, 2024



CHARLES UNIVERSITY  
Environment Centre

## 1 მარეგულირებელი კანონმდებლობა

ჩეხეთი ახორციელებს ევროკავშირის ენერგეტიკული დირექტივებისა და რეგულაციების დანერგვას ბაზრის ლიბერალიზაციის, კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ხელშეწყობის მიზნით. მარეგულირებელი ბაზა შეიქმნა 2000-იანი წლების დასაწყისში შემდეგი ეროვნული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე:

### ენერგეტიკის აქტი (აქტი No. 458/2000, შესწორებული)

- ენერგეტიკის აქტი არის ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს საქმიანობის პირობებს და სახელმწიფო ადმინისტრირებას ჩეხეთის რესპუბლიკის ენერგეტიკულ სექტორში, ელექტროენერგეტიკის ჩათვლით. იგი ასახავს საკანონმდებლო ჩარჩოს ენერჯის წარმოების, განაწილების, გადაცემისა და მიწოდების საქმიანობებისთვის.
- აქტი მოიცავს სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის ლიცენზირებას, ტარიფებს, ენერგოეფექტურობას, განახლებადი ენერჯის წყაროებს და მომხმარებელთა დაცვას. ის ადგენს სექტორის რეგულირების ინსტიტუციურ ჩარჩოს, განსაკუთრებით მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსა (MPO) და ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის (ERO) კომპეტენციებს.
- 2022-2023 წლებში ევროპის ელექტროენერჯის ბაზრებზე კრიტიკული სიტუაციის დროს დამტკიცებულ იქნა რამდენიმე შესწორება (რომელიც შემდგომში იქნება განხილული).

### ენერგეტიკის მართვის აქტი (აქტი No. 406/2000, შესწორებული)

- ენერგეტიკის მართვის აქტი ყურადღებას ამახვილებს იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მოთხოვნებზე ენერჯის მართვასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი მოხმარებასთან დაკავშირებით.
- აქტი ადგენს ისეთი დოკუმენტების იმპლემენტაციის წესებს, როგორცაა სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკა, რეგიონული ენერგეტიკის კონცეფციები და ენერჯის დაზოგვის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა.

აქტიურად ხორციელდება ევროპული რეგულაციების, მათ შორის მესამე ენერგეტიკული პაკეტის, ტრანსპოზიცია ჩეხეთის კანონმდებლობაში, რომელიც მოიცავს ელექტროენერჯის დირექტივას N2009/72/EC, ელექტროენერჯის რეგულაციას N714/2009, და 2019 წლის ინიციატივას "სუფთა ენერჯია ყველა ევროპელისათვის". ეს უკანასკნელი მოიცავს დირექტივებსა და რეგულაციებს, რომლებიც ხელს უწყობს განახლებად ენერჯიას, აუმჯობესებს ენერგოეფექტურობას და აძლიერებს ენერგეტიკული კავშირის მართვას. ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკა ადაპტირებულია ევროკავშირის საერთო მიზნებთან.

2022 წლის ბოლოს ძალაში შევიდა ევროკავშირის საბჭოს რეგულაცია 2022/2577, რათა შეიქმნას ჩარჩო განახლებადი ენერჯის გავრცელების დაჩქარების მიზნით. რეგულაციის მიხედვით განახლებადი ენერჯის დანერგვა წარმოადგენს პირველი რიგის საზოგადოებრივ ინტერესს. რეგულაცია შემოვიდა 18 თვით, 2024 წლის შუა რიცხვებამდე. იგივე რეგულაციას შეიცავს ახალი ევროპული დირექტივა RED III. იგი ითვალისწინებს წევრი ქვეყნების ვალდებულებას, გაითვალისწინონ ის ეროვნულ კანონმდებლობაში. ჩეხმა

კანონმდებლებმა 2024 წლის თებერვლამდე უნდა განახორციელონ განახლებადი ენერჯის წყაროების პირველი რიგის საზოგადოებრივ ინტერესად აღიარება.

## 2 ინსტიტუციური ჩარჩო

### 2.1 ენერჯეტიკის მარეგულირებელი სამსახური (ERO)

ERO მუშაობს ენერჯეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოს (ACER) ფარგლებში, რომლის მიზანია ევროკავშირის მასშტაბით მარეგულირებელი პრაქტიკის ჰარმონიზაცია.

ERO დაარსდა, როგორც ადმინისტრაციული ოფისი ენერჯეტიკის სექტორებში რეგულირების აღსრულებისთვის 2001 წელს ენერჯეტიკის აქტით, რომელიც ასევე განსაზღვრავს მის კომპეტენციებს:

- ორგანიზაცია იცავს ენერჯეტიკის სექტორში მომხმარებელთა ლეგიტიმურ ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ERO არის უფლებამოსილი ორგანო, სადაც მომხმარებელს შეუძლია მიმართოს საჩივრით ენერჯეტიკის მიმწოდებლის/გამანაწილებლის წინააღმდეგ;
- ის არეგულირებს ტარიფებს ენერჯიაზე. ERO ადგენს ტარიფებს, ან, უფრო ზუსტად, ენერჯის ტარიფების რეგულირებად კომპონენტებს, რომლებზეც ყოველწლიურად გამოსცემს სატარიფო გადაწყვეტილებებს;
- ენერჯეტიკის სექტორებში კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, ERO მხარს უჭერს ტექნოლოგიურ და საკანონმდებლო პროგრესს ენერჯის გადაცემის ინფრასტრუქტურაში და აყალიბებს ენერჯეტიკული საქონლის ბაზრებს;
- ERO ზედამხედველობას უწევს ენერჯეტიკულ ბაზრებს ენერჯის მწარმოებლების, მოვაჭრეების და ენერჯეტიკული ბაზრის სხვა მონაწილეების ლიცენზირებისა და შემდგომ მათზე მონიტორინგის გზით;
- კანონის მიხედვით, ERO განსაზღვრავს მხარდაჭერის ინსტრუმენტებს განახლებადი ენერჯის წყაროებისთვის თავის სატარიფო გადაწყვეტილებებში განახლებადი და მეორადი ენერჯის წყაროების ხელშეწყობის მიზნით;
- ERO უზრუნველყოფს ევროკავშირის რეგულაციებთან და დირექტივებთან შესაბამისობას.

ERO-ს სათაო ოფისი მდებარეობს იიჰლავაში, ასევე ოფისები არის ოსტრავასა და პრალაში.

თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ERO მოქმედებს დამოუკიდებლად და რეგულირდება მხოლოდ კანონმდებლობითა და სხვა სამართლებრივი რეგულაციებით. თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ERO-ს არ შეუძლია მიიღოს ან მოითხოვოს მითითებები რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის, მთავრობის ან აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოს ან ფიზიკური ან იურიდიული პირისგან. ERO უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას მისი უფლებამოსილების განხორციელებისას. ERO-ს ფინანსური მენეჯმენტი რეგულირდება ეროვნული ბიუჯეტის ცალკეული თავით.

ERO-ს ჰყავს ხუთკაციანი საბჭო და ერთ-ერთი წევრი არის საბჭოს თავმჯდომარე. წევრებისა და თავმჯდომარის დანიშვნა და გათავისუფლება ხდება მთავრობის მიერ მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის წარდგენის საფუძველზე. წევრების უფლებამოსილების ვადა

ხუთი წელია. ERO-ს საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს ორგანიზაციას და მოქმედებს მისი სახელით. განსაზღვრულ შემთხვევებში ERO-ს საბჭო იღებს გადაწყვეტილებას.

## 2.2 ĆEPS (ჩეხეთის გადამცემი სისტემის ოპერატორი TSO)

ĆEPS არის 100%-ით სახელმწიფო საკუთრებაში და წარმოადგენს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს შვილობილ კომპანიას, რომელსაც აქვს ექსკლუზიური ლიცენზია მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის (დაახლოებით 6000 კმ) მართვისთვის ჩეხეთის რესპუბლიკაში.

ĆEPS კოორდინაციას უწევს ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო ნაკადებს მეზობელი ქვეყნების TSO-ებთან. ĆEPS აქტიურად არის ჩართული ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორთა ევროპულ ქსელში (ENTSO-E), რაც ხელს უწყობს ევროპული TSO-ებს შორის თანამშრომლობას.

2022 წლიდან ĆEPS არის ნაკადებზე დაფუძნებული ცენტრალიზებული დღით ადრე ბაზრის დაწყვილების პროექტის წევრი. ეს მეთოდი ითვალისწინებს ელექტროენერჯის ფიზიკურ ნაკადს ქსელში, რათა მოხდეს ტრანსსასაზღვრო გამტარუნარიანობის განაწილების ოპტიმიზაცია, გაზარდოს ელექტროენერჯის ბაზრების ეფექტურობა და საიმედოობა.

ĆEPS მონაწილეობს ევროკავშირის საერთო ინტერესის პროექტებში (PCIs) ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. ძირითადი პროექტები მოიცავს ინტერკონექტორებს და გადამცემი ქსელის განახლებას უკეთესი ინტეგრაციისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების გასაძლიერებლად. ĆEPS არის ლიდერი ჰკვიანი ქსელის დანერგვაში გადაცემის სექტორში ჩეხეთში.

## 2.3 OTE (ჩეხეთის ელექტროენერჯის ბაზრის ნომინირებული ოპერატორი NEMO )

OTE არის 100%-ით სახელმწიფო საკუთრებაში და წარმოადგენს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს შვილობილ კომპანიას, რომელსაც აქვს ექსკლუზიური ლიცენზია ჩეხეთის ელექტროენერჯის ბაზრის ოპერირების, მათ შორის დღით ადრე და დღიური ბაზრების ჩათვლით.

OTE, როგორც ელექტროენერჯის ბაზრის ნომინირებული ოპერატორი (NEMO) ჩეხეთის რესპუბლიკაში, თანამშრომლობს სხვა ევროპულ NEMO-ებთან, რათა განახორციელოს ელექტროენერჯის ერთიანი დღით ადრე და დღიური ბაზრების დანერგვა მთელ ევროპაში, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკომისიის 2015 წლის 24 ივლისის რეგულაციაში 2015/1222 (CACM რეგულაცია), რომელიც ადგენს სახელმძღვანელოს გამტარუნარიანობის განაწილებისა და გადატვირთვის მართვის შესახებ. ამრიგად, OTE-ს წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი ბაზრის დაწყვილების ცალკეულ პროექტებში. OTE პასუხისმგებელია შეთანხმებულ და რეალურ მიწოდებებსა და ელექტროენერჯისა და გაზის მოხმარებას შორის გადახრების შეფასებაზე, კლირინგსა და ანგარიშსწორებაზე.

- **დღით ადრე ბაზრის დაწყვილება:** ჩეხეთი არის მრავალრეგიონული დაწყვილების (MRC) პროექტის ნაწილი, რომელიც აერთიანებს ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზრებს ევროპის მასშტაბით. დღით ადრე ბაზარზე წვდომა (დღით ადრე აუქციონი) ორგანიზებულია PXE პლატფორმის საშუალებით. ჩეხური სპოტ ბაზარი არის ერთიანი დღით ადრე ბაზრების დაწყვილების (Single Day-Ahead Coupling - SDAC) პროექტის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს შექმნას ერთი დღით ადრე ელექტროენერჯის ბაზარი მთელ ევროპაში.
- **დღიური ბაზრის დაწყვილება:** ჩეხეთის ბაზარი ასევე ჩართულია ტრანსსასაზღვრო დღიურ (Cross-Border Intraday- XBID) პროექტში, რომელიც იძლევა ელექტროენერჯის უწყვეტი ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესაძლებლობას დღიურ ბაზარზე. ეს საშუალებას იძლევა უფრო მოქნილად და ეფექტურად გამოიყენოს ელექტროენერჯის გამომუშავება და მოხმარება რეალურ დროსთან ახლოს.

OPE ახორციელებს სხვა დაკისრებულ აქტივობებს:

- OPE არის სავაჭრო რეესტრის სათბურის გაზების ემისიის შეღავათების ეროვნული ადმინისტრატორი (EU ETS). ჩეხეთი არის ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სისტემის (ETS) ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს სათბურის გაზების ემისიების შემცირებას საბაზრო მიდგომით;
- OPE სერტიფიცირებულია ACER-ის მიერ, როგორც რეგისტრირებული წევრი-ანგარიშგების მექანიზმი (RRM), REMIT-ის რეგულაციის შესაბამისად;
- OPE მართავს წარმოშობის გარანტიების რეგისტრაციის სისტემას (EZP). წარმოშობის გარანტია ადასტურებს ენერჯის წყაროს, საწარმოო ერთეულს და წარმოებული ელექტროენერჯის პერიოდსა და რაოდენობას. მოხმარებლები მას იყენებენ იმისთვის, რომ დაამტკიცონ მოხმარებული ენერჯის წარმოშობა.

## 2.4 PXE (ენერჯის ბირჟა)

ცენტრალური ევროპის ენერჯის ბირჟა (PXE) არის ენერჯის ბირჟა, რომელიც სპეციალიზებულია ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ენერჯეტიკულ ბაზრებზე. ბირჟა დაარსდა 2007 წელს (თავდაპირველად ეწოდა პრადის ენერჯეტიკის ბირჟა) და დაიწყო ელექტროენერჯის ვაჭრობის შეთავაზება ჩეხეთის რესპუბლიკაში. შემდეგ PXE-მ გააფართოვა თავისი საქმიანობა სხვა ქვეყნებში და დაიწყო ბუნებრივი აირით ვაჭრობის ორგანიზება ჩეხეთის რესპუბლიკაში მიწოდების პუნქტთან.

2016 წელს PXE გახდა EEX ჯგუფის ნაწილი (Deutsche Börse Group-ის ნაწილი). 2017 წელს PXE-ის ენერჯეტიკული დერივატივებით ვაჭრობა გადავიდა EEX პლატფორმაზე. PXE არის პრადის საფონდო ბირჟის (PSE) თანამფლობელი.

PXE ფლობს სასაქონლო ბირჟის ლიცენზიას, რომელიც გაცემულია მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ, რომლის მიხედვითაც იგი ოპერირებას უწევს თავის PARC სასაქონლო პლატფორმას. PXE-ს მიერ უზრუნველყოფილი დერივატივების ვაჭრობა ხდება ევროპული ენერჯეტიკული ბირჟის AG (EEX) ლიცენზიით EEX პლატფორმაზე (T7 სავაჭრო სისტემა).



## 2.5 მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო (MPO)

მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო არის სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელისუფლებო ჩარევას ენერგეტიკულ სექტორში, რომელიც უპირველესად უნდა ეხებოდეს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს. ზემოაღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით, ის პასუხისმგებელია სტრატეგიული დოკუმენტების შექმნაზე, როგორცაა სახელმწიფო ენერგეტიკული გეგმა (SEK) და ჩეხეთის რესპუბლიკის კლიმატისა და ენერჯის ეროვნული გეგმა (NECP). 2022-2023 წლების კრიზისის დროს მისი როლი გაძლიერდა ელექტროენერჯის ბაზარზე პირდაპირი ჩარევით და ენერგეტიკის კანონმდებლობის ცვლილებით.

### 3 ჩეხეთის ელექტროენერგეტიკის სექტორი

ჩეხეთის ელექტროენერგეტიკის სექტორი ბოლო ათწლეულის განმავლობაში ძალიან სტაბილური იყო ელექტროენერჯის წარმოებისთვის გამოყენებული ტექნოლოგიების თვალსაზრისით, იხილეთ ცხრილი 1.

ცხრილი 1: ელექტროენერჯის ბალანსი, ჩეხეთი

ელექტროენერჯის ბალანსი [TWh]	2014	2018	2022	2014	2018	2022
<b>ელექტროენერჯის მთლიანი გენერაცია</b>	<b>86.0</b>	<b>88.0</b>	<b>84.5</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>
მურა ნახშირი	35.8	37.7	34.3	42%	43%	41%
ბირთვული საწვავი	30.3	29.9	31.0	35%	34%	37%
ბუნებრივი და სხვა აირები	4.7	6.4	5.3	6%	7%	6%
ქვანახშირი	4.9	3.5	2.4	6%	4%	3%
PVPP სატუმბი	1.1	1.1	1.0	1%	1%	1%
ბიომასა და ბიოგაზი	4.7	4.8	5.4	5%	5%	6%
ჰესი	1.9	1.6	2.1	2%	2%	2%
მზის ენერჯია	2.1	2.3	2.3	2%	3%	3%
ქარის ელექტროსადგური	0.5	0.6	0.6	1%	1%	1%
<b>ენერგეტიკის სექტორის მოხმარება და დანაკარგები</b>	<b>11.3</b>	<b>11.7</b>	<b>10.5</b>			
ტექნოლოგიური ციკლი	6.1	6.1	5.8			
ელექტროენერჯის წარმოებისთვის გადამცემი სისტემის დანაკარგები	3.8	4.3	3.4			
მოხმარება PVPP ტუმბოზე	1.4	1.4	1.3			
<b>ნეტო ელექტროენერჯია ადგილობრივი მოხმარება +</b>	<b>58.4</b>	<b>62.4</b>	<b>60.5</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>
მოხმარება HV-დან	7.3	7.9	7.3	12%	13%	12%
მოხმარება LV-დან	22.6	24.6	23.0	39%	39%	38%
მცირე მეწარმეები მოხმარების სექტორში	7.7	8.1	7.7	13%	13%	13%
მცირე მასშტაბის საყოფაცხოვრებო მოხმარება	14.1	15.0	15.7	24%	24%	26%
ადგილობრივი მოხმარება	6.7	6.7	6.7	11%	11%	11%
<b>წმინდა ექსპორტი</b>	<b>16.3</b>	<b>13.9</b>	<b>13.5</b>			

წყარო: წლიური ანგარიში ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის შესახებ, 2022 [www.eru.cz](http://www.eru.cz)

წარმოების მხარეს მთავარი მოთამაშე არის უმეტესად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ČEZ ჯგუფი, ბაზრის 70%-იანი წილით. ČEZ მართავს ორ ატომურ ელექტროსადგურს ჩეხეთის რესპუბლიკაში (ČEZ წარმოების 50%, ქვეყნის წარმოების 30%), დადგმული სიმძლავრით 4 x 510 მეგავატი, დუკოვანის ატომური ელექტროსადგური და 2 x 1,100 მეგავატი ტემელინის ატომური ელექტროსადგური. დუკოვანის ატომური ელექტროსადგურის საექსპლუატაციო ვადაა 2045-2047 წლები, ხოლო ტემელინის ატომური ელექტროსადგურის - 2060-2062 წლები (2024 წლის სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკა). კიდევ ორი ბირთვული ბლოკი, თითოეული 1050 მეგავატი სიმძლავრით, უნდა აშენდეს 2036 და 2039 წლამდე (კაპიტალური დანახარჯები დაახლოებით 200

მილიარდი ჩეხური კრონა) სამხრეთ კორეის კომპანია KHNP-ის მიერ (გამოცხადებულია ჩეხეთის მთავრობის მიერ, 2024 წლის 17 ივლისს).

ელექტროენერჯის მნიშვნელოვანი ნაწილი იწარმოება მურა ნახშირის წვის შედეგად (ქვეყნის წარმოების 40%, ČEZ-ის წარმოების 50 %). ქვანახშირისგან ელექტროენერჯის და სითბოს გამომუშავება არ არის კონკურენტუნარიანი, რადგან ევროკავშირის ემისიით ვაჭრობის სქემაში ემისიის დასაშვები ფასი იზრდება. ასევე, მოქმედი კლიმატისა და ენერჯის ეროვნული გეგმა და სახელმწიფო ენერჯეტიკული გეგმა ითვალისწინებს ნახშირის გამოყენების შემცირებას 2030 წლამდე.

განახლებადი ენერჯის ბაზრის წილი ბოლო ათწლეულში ნელა გაიზარდა (10%-დან 12%-მდე). ჰიდროელექტროსადგურები ჩეხეთის რესპუბლიკაში ელექტროენერჯის ტრადიციული წყაროა; თუმცა მათი პოტენციალი საკმაოდ ამოწურულია. ქარის ელექტროენერჯის პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის სრულად ათვისებული. 2022 წელს სიმძლავრე შეადგენდა 0,34 გვტ-ს. 2015 წლიდან მხოლოდ რამდენიმე ერთეული დამონტაჟდა.

ფოტოელექტრული მოწყობილობების წილი (PVE) გაიზარდა 2010 წლის დასაწყისში, რამაც გამოიწვია ელექტროენერჯის არაპროპორციულად მაღალი ხარჯები (როგორც შემდგომ არის აღწერილი). ბოლო წლების განმავლობაში, მზის დანადგარების რაოდენობა კვლავ იზრდება. 2022 წელს ჯამურმა დადგმულმა სიმძლავრე, 2.1 გვტ შეადგინა.

ჯერჯერობით, ბუნებრივი აირის წილი მცირეა (CZ წარმოების 6%), მაგრამ მოსალოდნელია, რომ ბუნებრივი აირის წილი (შემდგომ წლებში ნახშირორჟანგის შეგროვებასა და შენახვასთან ერთად) გაიზრდება, კერძოდ, რესურსების ადეკვატურობის დასაკმაყოფილებლად (დატვირთვის შეზღუდვის მოლოდინი (LOLE) 7 საათს ქვემოთ წელიწადში).

გადამცემი სისტემა აკავშირებს ჩეხეთს მეზობელ სისტემებთან; მონოპოლია ამ სფეროში ეკუთვნის ČEPS-ს.


ვინაიდან ელექტროენერჯის წმინდა ექსპორტი შეადგენს წმინდა წარმოების 20%-ს (14 ტვტ.სთ), მთლიანი გაცვლა გასამმაგებულია. ხორციელდება მუდმივი იმპორტი პოლონეთიდან (9 ტვტ.სთ) და ექსპორტი ავსტრიასა (13 ტვტ.სთ) და სლოვაკეთში (11 ტვტ.სთ). გერმანიასთან ვაჭრობა არის დაახლოებით 7 ტვტ.სთ, ორივე მიმართულებით. რამდენადაც კომპენსაცია უფრო მნიშვნელოვანი ხდება RES ბაზრის წილის ამალეებაში, განსაკუთრებით გერმანიაში, საჭირო იქნება პირველადი საფარის განახლება და გაძლიერება.

1990-იან წლებში დაარსდა ჩეხეთის ელექტროენერჯის გამანაწილებელი ორგანიზაცია, როდესაც განხორციელდა ნაწილის პრივატიზება. დღეს სამი კომპანია ამარაგებს მომხმარებელთა 99%-ზე მეტს, ხოლო კიდევ ორი ფლობს ადგილობრივ სამრეწველო რაიონებში განაწილების ლიცენზიას. სამი დიდი გამანაწილებელი კომპანია მოიცავს:

- ČEZ Distribution (ČEZ ჯგუფის შვილობილი კომპანია, უმეტესი წილი სახელმწიფო საკუთრებაშია) - ჩეხეთის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილი, მთლიანი მიწოდების 60%-ით,




- EG.D (მესაკუთრე უცხოელი ინვესტორი) – ჩეხეთის სამხრეთი ნაწილი, მთლიანი მიწოდების პუნქტების 25%-იანი წილით.
- PRE Distribution (პრადის მუნიციპალიტეტის/უცხოელი ინვესტორების საკუთრება) – პრადის დედაქალაქი, 15%-იანი წილით.



ენერჯის დაზოგვის ღონისძიებების სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერის მიუხედავად, ელექტროენერჯის მოხმარება კვლავ იზრდება, გარდა 2019 წელს COVID-19 პანდემიის პირველი წლისა და 2022-2023 წლებში (იხილეთ შავი ხაზი შემდეგ ნახაზზე, მასშტაბი მარჯვენა ღერძზე) მნიშვნელოვანი ყოველთვიური ცვალებადობით (იხ. წერტილები, მასშტაბი მარცხენა ღერძზე იმავე ნახაზზე). მიუხედავად ამისა, შიდა მოხმარება სტაბილური იყო, ბოლო ათწლეულის განმავლობაში წელიწადში 60-62 ტვტ.სთ.

თბური ტუმბოების მზარდი გამოყენება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოთხოვნის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. მიუხედავად ამისა, ელექტრო მანქანებზე მოდის მანქანების სრული რაოდენობის ძალიან დაბალ წილი და ელექტრო მანქანების დამუხტვის ეფექტი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი იქნება მხოლოდ 2030 წლის შემდეგ.

სურათი : ელექტროენერჯის წმინდა მოხმარება, ჩეხეთი 2007-2023 წწ



#### 4 ელექტროენერჯის ტარიფის დადგენა

ელექტროენერჯის მოხმარების ტარიფი ორნაწილიანია. პირველი ფიქსირებულია და გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად. ის მოიცავს ქსელი-წერტილის მიერთებას და მთავარ ავტომატურ ამომრთველს. როგორც წესი, ის მერყეობს 100-დან 300 ჩეხურ კრონამდე თვეში. მეორე წარმოადგენს ტარიფის ცვლად ნაწილს, რომელიც პირდაპირ კავშირშია ელექტროენერჯის მოხმარებასთან (გადაიხდება ყოველ კვტ.სთ-ზე).

ეს უკანასკნელი ცვლადი ნაწილი შედგება ორი კომპონენტისგან: რეგულირებადი და არარეგულირებადი.

რეგულირებადი ცვლადი ტარიფი რეგულარულად დგინდება ERO-ს მიერ და მოიცავს:

- *განაწილების ხარჯი* მოიცავს ინვესტიციებს გამანაწილებელ ქსელში. ხარჯის ეს კომპონენტი გამოითვლება გამანაწილებელი კომპანიის მიერ და დამოკიდებულია მოხმარებული ელექტროენერჯის მოცულობაზე;
- *სისტემის მომსახურების ხარჯი* მოიცავს ინვესტიციებს გამანაწილებელ ქსელში და საოპერაციო ხარჯებს, რომლებიც გამოითვლება გსო ČEPS-ის მიერ. 2024 წელს 140%-იანი მკვეთრი ზრდა გამოწვეული იყო მთავრობის გადაწყვეტილებით არ დაეფარა გადაცემის დანაკარგები წინა პერიოდში. 2024 წელს მან შეადგინა 212,8 ჩეხური კრონა კვტ.სთ-ზე;
- *განახლებადი წყაროებიდან გამომდინარე ელექტროენერჯის მხარდაჭერა*, რომელიც შეადგენს 495 ჩეხური კრონას მეგავატ.სთ-ზე. 2023 წელს ჩეხეთის მთავრობამ გააუქმა ეს გადასახადი, რათა შეემსუბუქებინა საყოფაცხოვრებო ხარჯები ენერჯიაზე ფასების ზრდის გამო.
- *აქციზის გადასახადი ელექტროენერჯიაზე*, რომელიც მოცემულია ევროკავშირის დირექტივით, და შეადგენს 28,3 ჩეხური კრონას მეგავატ.სთ-ზე,
- *ბაზრის რეგულირების და ადმინისტრაციული ხარჯები (ERO)* არის თვიური ერთჯერადი გადასახდელი 4.14 ჩეხური კრონას ოდენობით.

ტარიფის ცვლადი ნაწილის არარეგულირებადი კომპონენტი ასახავს წარმოების ხარჯებს. ელექტროენერჯის ფასი დგინდება ენერგეტიკულ ბირჟებზე, PXE-ზე ჩეხეთის რესპუბლიკაში, სადაც ელექტროენერჯია ძირითადად სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყნიდან ივაჭრება. PXE ვაჭრობის მონაწილეებს საშუალებას აძლევს ჰქონდეთ წვდომა დღით ადრე ბაზარზე, რომელიც ორგანიზებულია ჩეხეთის რესპუბლიკაში OTE-ს მიერ. ხარჯის ეს კომპონენტი კვლავ განსხვავდება კომუნალური კომპანიების მიხედვით და დამოკიდებულია მოხმარებულ ელექტროენერჯიაზე.

ცხრილი 2: ელექტროენერჯის საშუალო ტარიფი (ევრო/მგვტ.სთ)

	2022	2023	2024
<b>რეგულირებადი ნაწილი</b>	<b>130</b>	<b>116</b>	<b>170</b>
განაწილების ტარიფი	65	64	83
სისტემური მომსახურებები	4	4	10
ერთჯერადი გადასახდელები*	40	47	57
განახლებადი ენერჯის მხარდაჭერა	20	0	20
<b>ელექტროენერჯის გამომუშავება</b>	<b>125</b>	<b>200</b>	<b>159</b>
<b>დღგ (21%) **</b>	<b>53</b>	<i>გათავისუფლე ბულია</i>	<i>გათავისუფლე ბულია</i>
<b>სულ</b>	<b>308</b>	<b>316 (381)</b>	<b>329 (395)</b>

\* ერთეულის ფასი მეგავატსთ-ზე გამოითვლება 2,5 მგვტ.სთ წლიური მოხმარებისთვის.

\*\* დღგ გაუქმდა 2022 და 2023 წლებში, საბოლოო ფასი დღგ-ს ჩათვლით ნაჩვენებია ფრჩხილებში ორი წლის განმავლობაში.

წყარო: <https://www.seznampravdy.cz/clanek/ekonomika-firmy-koho-nejvice-dozene-zdrazeni-regulovane-slozky-ceny-elektriny-239270>

## 5 რეგულირების/ბაზრის შეფერხებები

### 2009-2010 მზის სისტემების ბუმი

1990-იანი წლების დასაწყისიდან ჩეხეთის რესპუბლიკაში ახლად დაარსებული ჰიდრო და ქარის ელექტროსადგურების შესყიდვის ფასი გარანტირებული იყო 15 წლის განმავლობაში და იყო უფრო მეტი კონკურენტულ ფასზე. 2010 წელს ორივე სექტორის შესყიდვის ფასი 100 ევრო/მგვტ.სთ იყო, რაც დღესაც იგივეა.

2008 წლამდე მზის სისტემებში ინვესტირება იმდენად ძვირი ჯდებოდა, რომ არ ხდებოდა სიმძლავრის დამონტაჟება, მიუხედავად რამდენიმეჯერმე მაღალი გარანტირებული შესყიდვის ფასისა. იმ პერიოდში მზის პანელების შემოტანა დაიწყო ჩინეთიდან წინათ არსებულ ხარჯებზე უფრო დაბალი ფასით. მან გამოიწვია მზის სისტემების ბუმი 2009 - 2011 წლებში. შესყიდვა ხორციელდებოდა სახელმწიფოს მიერ 15 წლის განმავლობაში გარანტირებულ მაღალ ფასად. ERO-მ რეაგირება ამ საინვესტიციო ღირებულების შემცირებაზე მოახდინა ორ წელზე მეტი ხნით დაგვიანებით, ამიტომ ელექტროენერჯის შესყიდვის ფასი ამ პერიოდის განმავლობაში გახლდათ 600 ევრო/მგვტ.სთ-ზე მეტი. ამან გამოიწვია არაოპტიმალური მაღალი საჯარო დანახარჯები და, შესაბამისად, ელექტროენერჯის ფასის უზარმაზარი ზრდა, რომელიც დღემდე გრძელდება. ბოლო 15 წლის განმავლობაში, მზის პანელების ინვესტირება ყოველწლიურად იღებენ 1 მილიარდ ევროს, რომელიც შეგროვდა მომხმარებლებისგან ელექტროენერჯის ტარიფის ერთი რეგულირებადი კომპონენტის მეშვეობით (იხ. ზემოთ).

## 2022 წლის ენერჯის ფასების კრიზისი

2022 წელს ენერჯიაზე ფასებმა მიაღწია ყველა დროის მაღალ ნიშნულს, ძირითადად რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის გამო. ევროკავშირის შიდა ბაზარზე ელექტროენერჯის საბითუმო ფასი პირდაპირ კავშირშია გაზის ფასთან, რომელიც ძირითადად იმპორტირებულია. რუსეთის მიერ გაზის მიწოდების მიზანმიმართული შემცირება იყო ევროკავშირში გაზის ფასების მკვეთრი ზრდის მთავარი მიზეზი, რამაც გავლენა მოახდინა გაზზე მომუშავე ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ფასზე და ზოგადად ელექტროენერჯის მთლიან ფასზე. შედეგად, ელექტროენერჯის ადგილზე ფასმა პიკს მიაღწია (1000 ევრო/მგვტ.სთ) 2022 წლის ოქტომბერში (2021 წლის ოქტომბერში 100 ევრო/მგვტ.სთ-თან შედარებით) და რვა თვის განმავლობაში ფასი იყო 300 ევრო/მგვტ.სთ-ზე მეტი.

2022 წლის ოქტომბერში ევროკავშირის საბჭომ ოფიციალურად მიიღო რეგულაცია გადაუდებელი ჩარევის შესახებ, რათა მოეგვარებინა ენერჯიაზე არსებული მაღალი ფასების პრობლემა. რეგულაციამ შემოიღო საერთო ზომები ელექტროენერჯის მოთხოვნის შესამცირებლად და ელექტროენერჯის სიღარიბის თავიდან ასაცილებლად. ევროკავშირის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ გაეტარებინათ ღონისძიებები ჭარბი შემოსავლების შესაგროვებლად და მოეხდინათ მათი გადამისამართება ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებლების - საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად და დასაცავად.

საბჭომ გადაწყვიტა დაეწესებინა საბაზრო შემოსავლების ზედა ზღვარი ელექტროენერჯის მწარმოებლებისთვის, მათ შორის შუამავლებისთვის, რომლებიც იყენებენ ეგრეთ წოდებულ ინფრამარგინალურ ტექნოლოგიებს, როგორცაა განახლებადი ენერჯია, ბირთვული ენერჯია და მურა ნახშირი, რათა გამოემუშავებინათ ელექტროენერჯია 180 ევრო/მგვტ.სთ ფასად. ამ ოპერატორებმა მიიღეს მოულოდნელად მაღალი ფინანსური მოგება საოპერაციო ხარჯების გაზრდის გარეშე, რადგან ბუნებრივი აირი გამოიყენებოდა როგორც ზღვრული წყარო ფასწარმოებისთვის, რაც ამჟამად ზრდის ელექტროენერჯის საბოლოო ფასს. იმ შემთხვევებში, როდესაც წევრი სახელმწიფოს წმინდა დამოკიდებულება იმპორტზე უდრის ან აღემატება 100%-ს, მათ უნდა გააფორმონ შეთანხმება ექსპორტიორ წევრ სახელმწიფოსთან ჭარბი შემოსავლის სათანადო განაწილების შესახებ.

2023 წელს ჩეხეთის მთავრობა ჩაერია ელექტროენერჯის ბაზარზე არასაბაზრო ზომებით, მათ შორის, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე საწარმოების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ფასის ზღვრის შემოღებით, დღგ-ს შემცირებით, განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის დროებით შეჩერებით, და ფინანსური შენატანებით, რათა ნაწილობრივ დაფარულიყო გაზრდილი ელექტროენერჯის საფასური და შემცირებულიყო უარყოფითი ზეგავლენა საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე. მიუხედავად ამ შემარბილებელი ღონისძიებებისა, საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის საშუალო ფასები 70%-ით გაიზარდა 2023 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერჯის გამომუშავების ფასი 2021 წლის დონეს დაუბრუნდა, ERO-მ 2024 წელს ელექტროენერჯის ფასის რეგულირებადი კომპონენტები გაზარდა.

## 6 დასკვნა

ჩეხეთის ელექტროენერჯის ბაზარი არის ევროკავშირის ელექტროენერჯის ბაზრის განუყოფელი ნაწილი, რომელიც მონაწილეობს ევროკავშირის მასშტაბით სხვადასხვა ინიციატივებში ერთიანი, კონკურენტული და ეფექტური ენერგეტიკული ბაზრის შესაქმნელად. ეს ინტეგრაცია ხელს უწყობს ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას, ზრდის ბაზრის ეფექტურობას და ხელს უწყობს ევროპის ენერგეტიკული კავშირის საერთო ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და მდგრადობის მიზნებს. კანონმდებლობა და ინსტიტუციური ჩარჩო მაღალი ხარისხით შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს.

ტექნიკურად, ჩეხეთის ელექტროენერჯის განაწილების სისტემა განვითარებულია და ღიაა ტრანსსასაზღვრო გადაცემისთვის. წარმოების მხრივ, არსებობდა მურა ნახშირის წვაზე მაღალი დამოკიდებულების პრობლემა, დღესდღეობით ევროკავშირის ემისიის დასაშვები ერთეულის (EUA) ფასი იმდენად მაღალია, რომ საბაზრო ფასი ამ ბაზრის სეგმენტმა ეკონომიკურად არაკონკურენტუნარიანი გახადა. შემდეგი გეგმა და ენერგეტიკული ტრანსფორმაციის გზა დადგინდება კლიმატისა და ენერჯის ეროვნული გეგმის, განახლებულ სახელმწიფო ენერგეტიკულ პოლიტიკასა და ჩეხეთის რესპუბლიკის კლიმატის დაცვის პოლიტიკის მიხედვით, რომლებიც მომზადდება ჩეხეთის მთავრობის მიერ 2024 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში.